

პრესრელიზი



„წიგნის მუზეუმის“ პირველი სტუმარი

11 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმს (მუზეუმი უახლოეს მომავალში გაიხსნება) ნობელის პრემიის ლაურეატი



მწერალი და ჟურნალისტი სვეტლანა ალექსიევიჩი ეწვია. ნობელიანტი მწერალი პირველი ოფიციალური სტუმარია მუზეუმში. ის მკითხველთან შეხვედრის დაწყებამდე მუზეუმით და იმ რარიტეტული გამოცემებით დაინტერესდა, რომელიც ჯერ კიდევ საცავში რჩება, მალე კი ახალ საჯარო სივრცეში განთავსდება. სტუმარს ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კველიძემ და „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ წარმომადგენლებმა უმასპინძლეს. სვეტლანა

ალექსიევიჩმა მუზეუმს სიმბოლურად საჩუქრად საკუთარი წიგნიც გადასცა. ბიბლიოთეკაში მკითხველთან შეხვედრა გამომცემლობა „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მიერ იყო ორგანიზებული. ამავე გამომცემლების ინიციატივით სტუმრობდა ქვეყანას ნობელიანტი მწერალი.



პრესრელიზი

შეგახსენებთ, რომ „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ ერთერთ ყველაზე მასშტაბურ პროექტს წარმოადგენს, საქართველოში პირველი და კავკასიაში ყველაზე დიდი „წიგნის მუზეუმის“ დაარსება. პროექტის პარტნიორი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფიც“ არის.

სვეტლანა ალექსიევიჩი 2015 წლის ნობელის პრემიის ლაურეატია ლიტერატურის დარგში. მისი წიგნების უმეტესობა ქართულ ენაზე თარგმნილია. „ჩერნობილის ლოცვა“, „ომს არ აქვს ქალის სახე“, „სექენდ ჰენდის დრო“, „ცინკის ბიჭები“ - ამ წიგნებით სვეტლანა ალექსიევიჩმა მთელ მსოფლიოს აჩვენა თუ რას ნიშნავს დიდი იმპერიის ავტორიტარული რეჟიმი,

სვეტლანა ალექსიევიჩის წიგნების ქართული თარგმანები გამომცემლობა „ინტელექტისა“ და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერაა გამოცემული.

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

